საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 22 თებერვალი 1920 წ.

# ერთობა

ფასი 3 მანეთი

გაზეთი დღის 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 3 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე სტრიქონის 5 მანეთი. მეოთხე გვერდზე 4 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 15X2 სტრიქონი ხუთ. 100 მანეთი. ხელნაწერი განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: კრუზენშტერნის ქ. 4, მუხრანსკი რუსთაველის ქუჩის მე-18-იდან.

№ 42 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 42

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო აუწყებს საზოგადოებას, რომ კვირას, 22 თებერვალს, ნაშუადღევის 1 ნახ. საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის თავის პანაშვიდი განსვენებულის პროფესორ

**იოსებ ყიფშიძის**

სულის მოსახსენებლად. (631 1—1)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე მისი ივანეს ასული შვილებით: კონსტანტინე, ეკა, იასონი, ლადო, გოგოლა და ტერეზით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას ტფილისში მათი დაუვიწყარი და საყვარელი

**ნიკოლოზ (ნიკო) გრიგოლის ძე ცინცაძის**

რომლის დასაფლავება მოხდება 24 თებერვალს დილით სამშობლოს სოფელ ბუკისციხეს (გურია) ივანე ნათლისმცემლის ეკლესიაზე. (633 2—1)

სიძეები: არტემ თედორაძე და ვასო გოგუაძე, შვილები: ელენე და მარო, შვილის შვილები: თამარი, კარლო და ბიძინა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი ძვირფასი და საყვარელი

**ნიკოლოზ (ნიკო) გრიგოლის ძე ცინცაძის**

გარდაცვალებას. (633 1—1)

დამწუხრებული [illegible] შვილებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ დღეს ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი და დაუვიწყარი პოლკოვნიკი

**ალექსანდრე კონსტანტინეს ძის მიქელაძის**

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 10 საათზე, პანაშვიდი პირველის ნახევარ საათზე. (634 1—1)

უბედური დედა ნინო და მამა და სიძეები გოგიტიძე და ნიკოლოზ დოლიძე იგონებენ რა თავის დაუვიწყარ უდროოთ დაკარგულ ქალიშვილს

**ნინა იოსებ ასულ ჭოჭუას**

სთხოვენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს დაესწრონ წლის წირვას და პანაშვიდს კვირას, 22 თებერვალს 11 საათზე ქ. ოზურგეთის სობოროში. (637 1—1)

კვირას, 22 თებერვალს, დილის 12 საათზე, მუსულმანთა აუდიტორიაში (მთავრობის) დანიშნულია მე 6 რაიონის კოლექტივის საქ. სოც. დ. მ. პ.

**წევრთა საერთო კრება**

დღის წესრიგი: 1) სარევიზიო კომისიის მოხსენება და 2) კოლექტივის რეორგანიზაცია. (ფ. 1—1)

**შრომის სამინისტროს მუშათა მაღაზია**

წინადადებას აძლევს ყველას, ვისაც ნებსით თუ უნებლიეთ მიღებული აქვს კუპონებზე ზედმეტი სახელმწიფო მომმარაგების ფონდის სასურსათო ბარათები

**დააბრუნონ ეს ბარათები 25 თებერვლამდე**

ვინც აღნიშნულ ვადამდე ბარათებს არ დააბრუნებს, მათ სრულიად წაერთმევათ უფლება მომარაგების ფონდიდან პროდუქტების მიღებისა, პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი და მათი სახელი და გვარი გამოქვეყნდება.

მომარაგების რწმუნებული. (6. 4—2)

**სამტრედიის ქალაქის გამგეობა**

იწვევს ბეითალ ექიმს ჯამაგირი 5460 მან. მსურველმა უნდა მიმართოს სამტრედიის ქალაქის გამგეობას. (625—2—2)

**თბილისის სადარაჯო ათასეული**

ამით აცხადებს, რომ ორშაბათს 23 თებერვალს ათასეულის ბინაზე (ანტონოვის ქუჩა) შუადღის 12 საათზე დანიშნულია

**საჯარო ვაჭრობა**

დაწუნებულ 3 ცხენზე. ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე ათასეულის სამეურნეო ნაწილში. (615—2—2)

**სპეციალური სახელოსნო**

სადაც ვაახლებთ ძველ კალოშებს. ვამზადებთ გამძლეობის გარანტიით. ვაკრავთ ფეხსაცმლების ტყავის საძირეს, რეზინის საძირეს, რაც იცავს ფეხსაცმელს ნოტიოსა და ფეხის გაციებისაგან. ფასები: მამაკაცის ფეხსაცმლის—100 მანეთიდან ქალისა კი—50 მან. დაკვეთას ვასრულებთ 24 საათში. მისამართი პლეხანოვის პრ. (მიხეილის პრ.) № 129.

**მაღაზია „რეზინის საქმე“** (629—2—2)

**შრომის სამინისტროს მუშათა მაღაზია**

აცნობებს ყველა პირებს და დაწესებულებებს, რომელთაც მიიღეს

**სასურსათო წიგნაკები სახელმწიფო ფონდიდან**

სურსათის მისაღებად, მათ უნდა მიიტანონ ერთ-ერთი განაწილებელ სავაჭროს ქალაქის სასურსათო განყოფილებისა, კოოპერატივ „ალიანსისა“, ან ცეკავშირის მუშათა კოოპერატივებისა, ქალაქის მოსამსახურეთა ეკონომიური საზოგადოებისა და ან უნდა შეიტანონ ჯერჯერობით სანოვაგის პირდაპირ ცენტრალური საწყობიდან მისაღებად. ფორმის ნაბეჭდი ბლანკებისა მოითხოვეთ ყველა სავაჭროში.

(6. 3—3) მუშათა მაღაზიის რწმუნებული.

ექიმი ბ. ა. ოქროპირიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს 4—6 საათამდის. რეზიდენციის ქუჩა № 22, სოლოლაკი. (ნ.—ო.).

## ევროპა თუ აზია ამიერ-კავკასიაში?

მკითხველი ყურადღებას მიაქცევდა იმ ცნობას, რომელიც ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში იყო გაზეთ „ტაიმსი“-დან მოყვანილი. ამ გაზეთის კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობამ დაუთმო ლიგას „ისლამის განთავისუფლებისა“, რომელსაც საბჭოთა რუსეთის ხაზინიდან მიუღია 5 მილიონი მანეთი ოქროს ფული. ლიგაში მუსულმანთა მრავალ ქვეყნის წარმომადგენლები შედიან; მათ შორის დასახელებულნი არიან: „ოსმალეთის ნაციონალისტები“ და „ერთობის და პროგრესის“ პარტია, რომელსაც უწინ ერქვა „ახალგაზრდა თურქების“ პარტია და რომლის დღევანდელი ლიდერობა ენვერ-ფაშა და ოსმალეთის ყოფილი მთავრობა.

ბოლშევიკების „ბლოკი“ ოსმალეთის ნაციონალისტებთან და ენვერ-ფაშის პარტიასთან უტყუარი ფაქტია. ვინც ყურადღებით ადევნებს თვალყურს ბოლშევიკების და ოსმალეთის იმპერიალისტების მოქმედებას ამიერ-კავკასიაში, მისთვის ყოველ ეჭვს გარეშე იქნება ამ ორი მიმართულების პოლიტიკური კონტაქტი. მათ შეთანხმებულ მოქმედებაში დაკვირვებულ ადამიანს შეუძლიან ერთნაირი სამოქმედო პროგრამაც კი დაინახოს. ამიერ-კავკასიის საზღვრებში ამ პოლიტიკურ „ბლოკს“ ორი მთავარი პუნქტი აქვს ამორჩეული: ერთია—ბაქო, მეორე—ბათუმი. ბაქოში ასინი ძლიერები არიან აზერბეიჯანის პანისლამისტური ელემენტების თანაგრძნობით; ბათუმში თავის იმედებს ამყარებენ იმ ანარქიაზე, რომლის შექმნასაც აპირებენ ინგლისის ჯარის წასვლისთანავე. ორივე ეს პუნქტი, უნდა ვაღიაროთ, ოსტატურად და მოხერხებულად არის ამორჩეული. ამიერ-კავკასიის ამ ორივე კარის ხელში ჩაგდებით „კომუნისტ-პანისლამისტები“ ადვილად დაეპატრონებიან მთელს ამიერ-კავკასიას, და რა მნიშვნელობა ექნება ამ ახალ მოკავშირეთათვის კავკასიის ყელის ხელში ჩაგდებას, ამას მიხვდება ყველა, ვინც კი გაიხსენებს ამ ევროპის და აზიის გამაერთიანებელ ადგილის როლს ისტორიაში. ამიერ-კავკასია მუდამ ყოფილა ხიდი ევროპისა და აზიას შუა. აზიიდან ევროპისაკენ მიმავალ ძალებისთვის კავკასია მუდამ ყოფილა გასავალი გზა. ევროპაში შესევამდის აზიის ლაშქარს ჯერ კავკასიის ხელში ჩაგდება უნდოდა—ჰეროდოტე—სტრაბონის, ბერძენ ისტორიკოსების აზრით, ამ გზით შესიენ ევროპას ჰუნები, მადიარები, ავარები და აზიის სხვა ტომების ნაწილები. ამ გზითვე შევიდნენ რუსეთის ველში მონგოლები. მეორეს მხრით, კავკასიის ხელში ჩაგდება ევროპიდან აზიისაკენ მიმავალ ძალებსაც აუცილებლათ სჭირდებოდათ. გავიხსენოთ, რომ რუსეთის ძლიერება ახლო-აღმოსავლეთში მაშინ განმტკიცდა, როდესაც კავკასიაში მოიკიდა მან ფეხი.

ასეთ ფრიად ხელსაყრელ ადგილთ უნდათ გადააქციონ დღეს კავკასია საბჭოთა რუსეთის და ოსმალეთის იმპერიალიზმის შეთანხმებულ ძალებს. ამნაირად, ბაქოს და ბათუმის საკითხი არ არის მარტო საქართველოს, ან მარტო სომხეთის, ან მარტო აზერბეიჯანის საკითხი. ეს არ ეხება მარტო ამიერ-კავკასიის და მის ერების ბედს. იგი მსოფლიო მნიშვნელობის საკითხია, რადგან აზიის მტაცებლური ძალები და მათი ახალი მოკავშირე „კომუნიზმის“ წითელ შემოსასხამით მორთული იმპერიალიზმი სწორეთ ამიერ-კავკასიის იხდის თავის მთავარ ბაზათ ევროპაზე თავდასხმისათვის. ამიერ-კავკასიის ეს მსოფლიო მნიშვნელობა უნდა ახსოვდეს ყოველ პოლიტიკურ მოღვაწეს, რომლის წინაშეც დგება დღეს საკითხები, როგორც არის დღევანდელი ბათუმის ბედი. ბათუმი მოკლე მნიშვნელობის ქალაქად არის დღეს გადაქცეული. ინგლისის ჯარის დიდი ნაწილი ამ ქალაქიდან და ოლქიდან უკვე წასულა. ის მცირე ნაწილები, რომლებიც იქ დარჩენილან, მოკლე ხანში აპირებენ წასვლას. ამნაირად, ბათუმი უპატრონოთ რჩება. მის გარეშემო დღეს უკვე გამართულია უსახელო ბრძოლა. ორი მთავარი ძალა ცდილობს ამ მსოფლიო მნიშვნელობის ქალაქის დაპატრონებას. ერთია ოსმალეთის იმპერიალიზმი და მისი მოკავშირე რუსეთის კომუნიზმი: მათ შეთანხმებულ მოქმედებაში დარწმუნდება ყოველი, ვინც წაიკითხავს ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში მოთავსებულ კორესპონდენციას. მეორე ძალა—საქართველო. პირველის გაბატონება ბათუმში, ეს ნიშნავს აზიის გაძლიერებას ევროპის საზიანოთ. მეორის მიერ ბათუმის დაჭერა—ეს ნიშნავს ბათუმის გამოყენებას ევროპის სასარგებლოთ. ჩვენ აღარ ვიტყვით იმ ზნეობრივ ხასიათის უფლებებზე, რომელიც საქართველოს აქვს ბათუმის საკითხში. ჩვენ დღეს გვინდა მივუთითოთ მხოლოდ იმ გარემოებაზე, თუ რამდენათ არიან დაინტერესებულნი ევროპის ყველა სახელმწიფოები იმაში, რომ ბათუმი საქართველოს ხელში გადავიდეს.

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ქართველი ერი ევროპისაკენ იწევდა და ევროპისაკენ იშვერდა ხელს. დღეს, როდესაც მის შვილებს ეძლევა თავისი სურვილი გამოთქვას, მან კიდევ ერთხელ აცნობა ქვეყანას, რომ მისი გზა ევროპისაკენ მიდის და არა აზიისაკენ. ევროპისა და აზიის შორის ბრძოლაში ჩვენი რესპუბლიკა ყოველთვის ევროპის მხარეზეა. იგი მთელი თავისი მცირე კულტურული, ზნეობრივი და ფიზიკური ძალებით ევროპის მოკავშირეობას გაუწევს ბათუმის და აჭარის საკითხში. იმედია, სწორეთ ამ თვალსაზრისით შეხედავენ ევროპის სახელმწიფონი საქართველოს რესპუბლიკის მიერ გადადგმულ ყოველს ნაბიჯს ბათუმის საკითხის გადაწყვეტის დროს.

## დავეხმაროთ ქართლს

ამ ჟამად ბუნების საშინელი რისხვა დაატყდა თავს საქართველოს გულს—ქართლს.

ქალაქი გორი და მის ახლო-მახლო მდებარე სოფლები—ხიდისთავი, ხვრა, ტყემლისციხე და სხვ. სავსებით გაანადგურა მიწის ძვრამ: ათეულ და ასეულ წლების განმავლობაში აგებული შენობები დანგრეულია, მცხოვრებლები დახოცა, გადარჩენილები უწყო მდგომარეობაში არიან ჩავარდნილნი უსურსათობის გამო, შიშველ-ტიტველნი, უსახლ-კარონი.

ჩვეულებრივ უბედურების დროს გორის მაზრა თვით მოუვლიდა თავს, თავის გაჭირვებულ მცხოვრებლებს თვით უპატრონებდა.

დღეს გორს ეს არ შეუძლია. განადგურებულია ქალაქის თვითმართველობა. განადგურებულია თვით გორის სამაზრო ერობა—ეს კანონიერი ფუძე ქართლის დემოკრატიისა.

ქართლს შველა უნდა! მაგრამ არა ისეთი შველა, როგორიც ჩვენ ვიცით ხოლმე: შედგება ერთი ორი დამხმარე კომიტეტი. რამდენიმე დღის, ან უკეთეს შემთხვევაში რამდენიმე კვირის განმავლობაში კეთილი ადამიანები თავის წვლილის გაღებით შეეცდებიან თავს და შემდეგში ისევ დაივიწყებენ მიუსაფარ გაუბედურებულ ხალხს.

ასეთი შველა გორის მაზრისათვის საკმაო არაა.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა დაქცეული ქართლის დახმარება თვით სახელმწიფომ იკისროს: სახელმწიფო ხაზინიდან უნდა გაღებულ იქნეს საჭირო თანხები, რესპუბლიკის მომარაგების სამინისტრომ უნდა მიაწოდოს მცხოვრებთ საჭირო სურსათი და ტანისამოსი.

კარგია ნებაყოფლობითი დახმარება! მთელი საქართველო უნდა აღიძრას გაჭირვებულ ძმების საშველად. და ჩვენ ღრმად გვწამს, რომ საქართველოში არ მოიძებნება ისეთი პირი, რომელმაც დაქცეულ სოფლების და დაბა-ქალაქების საშველად თავისი წვლილი არ გაიღოს.

მაგრამ სანამ ამ გზით შეგროვილი ფული და სურსათი მიუსწრებდეს დაზარალებულებს, საჭიროა თვით მთავრობამ აღმოუჩინოს მათ დახმარება.

მთავრობა, იმედია, თვითონ შეასრულებს თავის მოვალეობას და გაჭირვებულ ხალხს დაეხმარება.

ჩვენ კი მივმართავთ საქართველოს ხალხს, მთელ მცხოვრებთ, ყველას, განურჩევლად მდგომარეობისა: გამოიჩინეთ მოქალაქობრივი სიმწიფე.

დაეხმარეთ გაუბედურებულ ქართლის ხალხს!

## მოწოდება

საშინელი და მოულოდნელი უბედურება დაატყდა თავს ჩვენს რესპუბლიკას: მიწის ძვრამ გაანადგურა გორი, ხიდისთავი, ხვრა და ბევრი სხვა სოფელი ატენის ხეობაში. მრავალი ოჯახის მარჩენალი ნანგრევებში დაიმარხა; სხვები შიშველი და მშიერი ცასქვეშ დარჩნენ ამ დიდ ზამთარში.

იმათაც დაღუპვა მოელის, თუ არ დავეხმარეთ.

წარმოიდგინეთ განადგურებული ქალაქი და სოფლები, დაქცეული სახლები, დახოცილი და დასახიჩრებულნი, უსახლკაროთ დარჩენილი და თავზარდაცემული ხალხი, ქალებისა და ბავშვების გამწარებული ტირილი და მაშინ საკუთარი გული გეტყვის ყოველ თქვენგანს, თუ რა უნდა გაჰკეთოთ:

ჩვენ უნდა მოვიხადოთ ჩვენი ადამიანური და მოქალაქობრივი ვალი გაუბედურებული მოძმეების წინაშე.

ჩვენ უნდა შევუმსუბუქოთ მათ ტკივილები და ტანჯვა, ვანუგეშოთ ასეთ მწუხარებაში.

ჩვენ უნდა მოვუშუშოთ მათ ჭრილობები და საქმით დავუმტკიცოთ, რომ ყოველგვარ ჭირში მათთან ვართ.

წარმოიდგინეთ ერთ წამს თქვენი თავი იმათ ადგილას, თქვენი ბავშვები, თქვენი ძმები, დედ-მამა,—თქვენ ხომ იმათთვის არ დაიშურებთ არაფერს.

ის უბედურებიც ჩვენი სისხლხორცია, ჩვენი ახლობელი, ჩვენი მოქალაქენი,—დავეხმაროთ მათ, ვაგრძნობინოთ, რომ ასეთი უბედურების დროს ისინი უმწეონი, უპატრონონი არ არიან.

ვიდვათ ყველამ თავს მათი პატრონობა, მათი შველა.

თუ დახმარება არ იქნა უხვი, ერთსულოვანი და სწრაფი, ცივი ზამთარი მათ მუსრს გაავლებს.

მაშინ სადღა უნდა გამოვყოთ თავი?

ნუ შევარცხვენთ ჩვენ დემოკრატიულ რესპუბლიკას; ეროვნული უბედურების დროს განსაკუთრებით გვმართებს რესპუბლიკის ღირსების დაცვა და მოქალაქის სახელის მაღლა ტარება.

ჩვენი მთავრობის თავმჯდომარის წინადადებით უკვე შესდგა საზოგადო დამხმარე კომიტეტი, რომელიც ღებულობს ყოველგვარ შემოწირულებას. ასეთივე კომიტეტები უნდა დაარსდეს პროვინციის ყოველ ქალაქსა, დაბასა და დიდ სოფლებში. ეს არის ეროვნული უბედურება და მთელი საქართველო უნდა დადგეს ფეხზე.

პოეტებმა, მწერლებმა, ხელოვნების ყოველმა მსახურმა, საზოგადო და კულტურულმა დაწესებულებებმა, თეატრებმა, კლუბებმა, სინემატოგრაფებმა,—ყველამ უნდა გაიხადოს თავის წმინდა მოვალეობათ მიწის ძვრის მსხვერპლთა დახმარება.

დავამტკიცოთ ყველამ, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ჭირი და ლხინი ერთი გვაქვს.

დავუმტკიცოთ ქვეყანას, რომ ყოველი მოქალაქის უბედურება ჩვენი საკუთარი უბედურებაა.

მიწის ძვრის მსხვერპლთა დამხმარე მთავარი კომიტეტი.

## ბათუმი

### საერთო მდგომარეობა.

ბათუმიდან გვატყობინებენ: მას შემდეგ, რაც გამოირკვა, რომ ინგლისის ჯარები ბათუმს და მის ოლქის დაცლას აპირებენ, ამ ადგილებში დაიწყო თავგამოდებული აგიტაცია, ერთის მხრით, ბოლშევიკების აგენტებისა, მეორეს მხრით—ოსმალეთის იმპერიალისტების აგენტებისა.

იმ მარცხის შემდეგ, რომელიც ბოლშევიკებმა საქართველოში განიცადეს, მათ მთელი თავისი ენერგია გადმოიტანეს ბათუმში და მის ოლქში. ბათუმში სრულიად ცხადათ ხდება მიტინგები, რომლებზედაც ბოლშევიკი-აგიტატორები მოუწოდებენ ხალხს საბჭოთა რუსეთთან შეერთებას. „არც ანტანტა, არც მისი ხასა-საქართველო“! აი ახალი ლოზუნგი, რომელიც წამოყენებულია ბათუმში კომუნისტების აგენტების მიერ. ეს ვაჟბატონები არავითარ საშუალებას არ ერიდებიან ხალხში სიძულვილის დასათესად საქართველოსადმი. ეროვნულ შუღლის გაღვივება, მდაბალ ინსტინქტების გაღიზიანება—ყველა ამ ხერხებს უხვად ხმარობენ კომუნისტების „იდეური“ მოღვაწენი. საკუთრივ იარაღი მათ ხელში, სხვათა შორის, ასეთია: რუს, ბერძენ და სხვა მცხოვრებთ მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს მთავრობა ბათუმში შემოსვლისთანავე მოახდენს დაწესებულებათა ნაციონალიზაციას და ვინც ქართული ენა არ იცის, უნდა ბარგი აიკრას და ცარიელზე დარჩეს, ისე როგორც ეს ტფილისში დაემართა აურიცხველ არა ქართველ ჩინოვნიკებს. ამნაირ „იდეური“ საშუალებებით „კომუნისტები“ ლენინელ ჩინოვნიკებს თავის მხარეზე იბირებენ. კიდევ უფრო მეტს ენერგიას იჩენენ ოსმალეთის იმპერიალისტები. ბათუმის ბაზარზე სრულიად ცხადლივ იყიდება ოსმალეთიდან შემოტანილი ტყვია-წამალი, პატრონები, თოფები. დიდძალი იარაღი შემოდის აჭარაში ხოფიდან და ჩურუქ-სუდან. პატარა-პატარა ჯგუფებით აჭარისკენ შემოდიან ოსმალთა „ჩეტნიკები“, ასკერები, რომელნიც აჭარის მცხოვრებთა შორის შიშს ავრცელებენ ოსმალეთისადმი. ამ ბრბოების შემოსვლის მიზანი იდეური არაა სრულიადაც: მათ იმდენათ პანისლამიზმი და პანთურქიზმი არ ამოძრავებს, რამდენათაც ის იმედი, რომ, როგორც კი ინგლისის ჯარი მიატოვებს ბათუმს, თავისუფლად შეეძლებათ მცხოვრებთა ძარცვა და დიდი დოვლის მოხვეჭა. ოსმალეთის იმპერიალისტების თავგამოდებულება იქამდის მივიდა, რომ მათი აგიტატორები მისულან საქართველოს საგანგებო რწმუნებულთან—მ. ხოჭოლავასთან და გამოუცხადებიათ, საქართველომ ხელი უნდა აიღოს ბათუმზე, თორემ ცუდი საქმე დაემართებათო. შიგ ქალაქ ბათუმში მოწყობილია ოსმალთა აგიტატორების შტაბი, რომელიც მიზნათ ისახავს ქალაქს დაეპატრონოს თავის საკუთარი ძალით, როგორც კი ინგლისის ჯარის ნაწილები იქიდან წავლენ. აჭარის საზღვრები სრულიად დაუცველია. შემოწმებული ცნობებით, რომ ხოპაში ოსმალთა ჯარი უკვე დამზადებული დგას ბათუმის ოლქში შემოსასვლელად ორი-სამი ათასამდის ჯარისკაცი. აღსანიშნავია, რომ მათი სარდალია ის რიზა-ბეგი, რომელმაც ორი წლის წინათ ბათუმი აიღო. ქ. ბათუმში დაუფარავად ლაპარაკობენ, რომ ოსმალეთის იმპერიალისტების აგენტების გეგმა ასეთია: როგორც კი ინგლისელები წავლენ ბათუმიდან, ოსმალეთის საიდუმლო რაზმები რკინის გზას დაიჭერენ, ააფეთქებენ რკინის გზის იმ ნაწილს, საიდანაც საქართველოს ჯარების შემოყვანა შეუძლიან, ააფეთქებენ ხიდებს, გაამაგრებენ მთავარ ადგილებს და ბათუმს მათი აგენტები დაეპატრონებიან.

რაც შეეხება ადგილობრივ მუსულმან-მცხოვრებლებს, უნდა გადაჭრით ითქვას, რომ მათი თანაგრძნობა აშკარათ საქართველოს მხარეზეა: მათ აშინებს ოსმალთა ჯარების შემოსვლა აჭარაში, რადგან ჯერ კიდევ წელში ვერ გასწორებულან იმ ძარცვა-გლეჯის და უბედურებისაგან, რაც მათ განიცადეს ორი წლის წინათ ოსმალეთის ჯარებისაგან. ისინი მშვიდობიან ცხოვრებას არიან მოწყურებულნი და მთელი თავისი ძალღონით ეშინიანთ ახალი ომისა, მაგრამ აჭარაში ადმინისტრაცია სრულიად მოსპობილია, ხალხს არავითარი ორგანიზაცია არა აქვს და ოსმალეთის აგენტების თარეშს ვერ უძლებენ.

ოსმალეთის იმპერიალისტები, რომლებზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, ეს უმთავრესად ის ელემენტებია, რომლების პოლიტიკაც სრულიად გაკოტრდა ოსმალეთში უკანასკნელ ომის დროს, რომ-

# დღეს

უმაღლესმა საბჭომ დაამთავრა ოსმალეთის საკითხის განხილვა და შეადგინა საზავო ხელშეკრულება.

ომის კანონების დამრღვევნი ლაიპციგში იქნებიან გასამართლებული გერმანიის კანონებით.

ინგლისური პრესის ცნობით, უკეთუ გერმანიის სასამართლო სათანადოთ არ დასჯის ომის კანონების დამრღვევთ, ისინი გასამართლებული იქნებიან მოკავშირე სახელმწიფოების სასამართლოებში.

ბოლშევიკების ცნობით საბჭოთა ჯარმა არხანგელსკი აიღო. ნოვოჩერკასკის სამხრეთით მკაცრი ბრძოლაა.

მღვრიე წყალში უფრო ადვილად შესძლებენ თევზების დაჭერას.

საქართო ამ გარემოებას ყურადღება მიექცევა ვისგანაც ჯერ არს. საქართო პროვოკატორების თარეშს ბოლო მოეღოს.

ნუ თუ ამ გარემოებას სათანადო ყურადღება არ უნდა მიექცეს. ნუ თუ ჩვენი ხალხი პროვოკატორების სათამაშო უნდა იყოს!

ხალხს სიფრთხილე მართებს. ხალხი არ უნდა აყვეს მათ დამღუპველ საქმეს. გვეყო, რაც უბედურება გვანახვს პროვოკატორებმა კვლავ ნუ ამღვრევენ წყალს, კვლავ ნუ გვღუპავენ.

## მიწის ძვრა

გორის მაზრაში.

(გორიდან ჩამოსულთ ამხანაგების ნაამბობი).

## დამფუძნებელი კრება

20 თებერვლის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

ივ. გომართელის მოხსენებით მიღებულ იქნა: 1) საბოლოო ტექსტი დეკრეტისა დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულების დამატებისა, 2) მიწათმოქმედების სამინისტროს დაწესებულებათა თანამდებობის პირთა ჯამაგირის ახალი ნორმების დეკრეტისა და 3) ტყიბულის მაღაროების სამქალაქო საზოგადოების „ნახშირის" ქონების გამოყიდვის დეკრეტისა.

წინადადება ერთხმათ მიღებულ იქნა.

მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ წარმოდგენილი პროექტი დეკრეტისა მიღებულ იქნა.

გ. თევზაძის მოხსენებით მიღებულ იქნა პროექტი დადგენილებისა სახელმწიფო ბანკის გამგის და გამგეობის წევრთა ჯამაგირების შესახებ.

გრ. ფუშაპელის ანგარიშში თამბაქოს მონოპოლიის გატარების შესახებ მთავრობასთან შეკითხვის გარშემო ილაპარაკა ს. დადიანმა, რომელმაც სიტყვა ვერ დაასრულა დროის გასვლის გამო.

## შავი ზღვის გუბერნიაში

გაგრიდან პოლკ-მთავრის ატყობინებენ:

...

14 თებერვალს აჯანყებულთა მოწინავე რაზმები შევიდნენ ტიხორეცკაში, რომელიც ლაზარევკის ჩრდილოეთით ათ ვერსზეა.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

21 თებერვალი

გერმანული პრესის ცნობები.

დამნაშავეთა გასამართლება.

...

# ექსპედიციის გაძარცვა

**1 მილიონისა და 85 ათასი მანეთის გატაცება.**

ამ დღეებში სახელმწიფო ბონების დასამზადებელ ექსპედიციაში, კასის შემოწმების დროს აღმოჩენილ იქნა, რომ ბოროტმოქმედთ გაუტაცნიათ ერთი მილიონი და 85 ათასი მანეთი.

**ცნობა საგანგებო რაზმს.**

16 თებერვალს ეს ამბავი ექსპედიციამ აცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საგანგებო რაზმს: საგანგებო რაზმს ეცნობა აგრეთვე ვისზედაც იყო მიტანილი ეჭვი ქურდობაში.

**დანაშაულობის ადგილზე.**

მიიღო თუ არა ეს ცნობა, საგანგებო რაზმის უფროსი კიდია თავისი თანაშემწეებით ფაჩულიათი და ჯანელიძესთან ერთად მივიდა ექსპედიციაში. ამავე დროს ექსპედიციაში მივიდა თფილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის ამხანაგი როგავაძე და საგანგებო საქმეთა გამომძიებელი დილევსკი. კასის დათვალიერების შემდეგ რაზმის აგენტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ფულის გატაცება შეეძლოთ მხოლოდ იმათ, ვინც კასა საბოლოოდ დასთვალა და ვინც ამ დათვლის დროს დაესწრნენ. მოსამსახურეთა გამოკითხვამ დაამტკიცა, რომ კასსა დაეკეტა მოლარეს თანაშემწეს მენაბდეს და კონტროლიორს ლავრენტი ქარხალაშვილს. თვით მენაბდე ექსპედიციაშივე აღმოჩნდა. ქარხალაშვილი კი, არ აღმოჩნდა ექსპედიციაში, მიუხედავათ იმისა, რომ ის ვალდებული იყო გამოცხადებულიყო. სამსახურში საათის პირველზე. მისი მოძებნა და ბინის გაჩხრეკა მიენდო ჯანელიძეს, რაზმის უფროსი კიდია კი ექსპედიციაში დარჩა საქმის დაწვრილებით გასაცნობათ.

**ქარხალაშვილის შეპყრობა.**

ჯანელიძემ შეიპყრო ქარხალაშვილი. შეკითხვაზე, თუ რატომ არ არის ის სამსახურში, ქარხალაშვილმა აჩვენა, რომ ორი დღეა ის ავად არის და ამის შესახებ იციან ექსპედიციაში. ვინაიდან დაკითხვის დროს ქარხალაშვილი ღელავდა და წითლდებოდა, ჯანელიძემ მას პირდაპირ მისცა წინადადება წარმოედგინა ექსპედიციიდან გატაცებული ბონები. ეს ლაპარაკი სწარმოებდა ქარხალაშვილის ბინის ფიცარზე. ამ დროს ჯანელიძემ შენიშნა, რომ ვიღაც ხანში შესული ქალმა ქარხალაშვილის ოთახში რაღაც ნივთი შეახვია, ტანსაცმელში დამალა და შუა კარებიდან მეორე ოთახში გავიდა. ჯანელიძე გაჰყვა იმ ქალს ოთახში, მაგრამ ის სხვა კარებიდან გავიდა და შეეცადა მიმალულიყო. ქალი შეპყრობილ იქნა. მოკრეფში აღმოჩნდა ორი ახალი ოქროს საათი, ერთი პლომბიანი ძეწკვი და 100 ათასი მანეთი ახალი, ხუთას მანეთიანი, ბონები, შემდეგ ოთახის გაჩხრეკის დროს კიდევ აღმოჩენილ იქნა საწერ მაგიდის უჯრაში 50 ათასი მანეთის ბონები.

შეკითხვაზე—სად არის დანარჩენი ფული, ქარხალაშვილმა განაცხადა, რომ დანარჩენი ფული მან გადასცა ამხანაგებს შემდეგ სადამის თავისუფლების მოედანზე, რომელთა გაცემა მას არ შეუძლია. ჯანელიძეს ეს არ დაიჯერა და დაჟინებით მოითხოვა დანარჩენი ფულების წარდგენა. მაშინ ქარხალაშვილმა განაცხადა, რომ ყველაფერს იტყვის საგანგებო რაზმში. დასტოვა რა ჯანელიძემ ქარხალაშვილის ბინაზე ერთი ერთი თანამშრომელი რაზმისა, თითონ ქარხალაშვილი თავისი ძმით იოსებ ქარხალაშვილთან ერთად წაიყვანა საგანგებო რაზმში.

გზაში ჯანელიძე შეეცადა ქარხალაშვილის გამოტეხას, მაგრამ ორივე ძმა გაჩუმებულნი იყვნენ, არაფერს ამბობდნენ. ექსპედიციის ეზოში შესვლისთანავე ჯანელიძემ უთხრა მათ: თუ სიმართლეს არ მეტყვით, ახლავე ექსპედიციაში შეგიყვანთ და ექსპედიციის მოსამსახურენი ყველაფერს იტყვიან. მაშინ ქარხალაშვილი შეეხვეწა, რომ ის ექსპედიციაში არ შეეყვანათ და განაცხადა, რომ ფული მან გაიტაცა მოლარეს თანაშემწე მენაბდესთან ერთად და დასძინა, რომ მენაბდეს შეპყრობის შემდეგ ის იტყვის აგრეთვე იმ ჯამის რაოდენობას რომელიც მას ერგო წილად. ვინაიდან საგანგებო რაზმში დაკითხვით არაფერი გამოირკვა, ქარხალაშვილი წაყვანილ იქნა ექსპედიციაში.

**ქარხალაშვილი ექსპედიციაში.**

მიუხედავად თანამოსამსახურეების გაკიცხვისა ქარხალაშვილი მაინც პირვანდ ჩვენებას იძლევა. ექსპედიციის მუშებისა და მოსამსახურეების თანდასწრებით გაგრძელდა ქარხალაშვილის დაკითხვა. მან განაცხადა, რომ ფულის ერთი ნაწილი დამალულია სარდაფში ნახშირის ქვეშ. იქვე აჩვენა საგანგებო რაზმმა იოსებ ქარხალაშვილმა. აღნიშნულ ადგილას გაემგზავრნენ კიდია, ფაჩულია და ექსპედიციის მმართველი ბერიძე და მართლაც ნახშირის ქვეშ აღმოჩენილ იქნა 161 ათასი მანეთი. თუ სად ჰქონდა დამალული დანარჩენი ფული, ეს ქარხალაშვილმა არარ სთქვა.

**გადამალულის ძებნაში**

ამის შემდეგ შეუდგნენ ფულის ძებნას სხვადასხვა პირთა შეკითხვით. კიდია თავისი თანაშემწეებით წავიდა ქარხალაშვილის ბინაზე და შეუდგა გამოძიებას. აქ კიდიამ ყურადღება მიაქცია ერთ გარემოებას: ქარხალაშვილის ნათესავი გიმნაზიელი სადღაც გაგზავნეს, რადგაც მინდობილობით. კიდიამ გიმნაზიელს მეთვალყურე გააყოლა. გამოირკვა, რომ გიმნაზიელი შევიდა წყლიანის ქუჩაზე მესამე ნომერ სახლში და დარჩა რა იქ რამდენიმე წუთი, უკან გამობრუნდა. რაზმის მეთვალყურე გიმნაზიელის წასვლის შემდეგ შევიდა ოთახში, მაგრამ ვინაიდან ის მარტოდ იყო, ჩხრეკა არ მოახდინა იქ მცხოვრები აღმოჩნდა მარია ერმინოვისა, ქარხალაშვილის სიდედრი, რომელმაც რაზმის თანამშრომლის შემდეგ მიხვდა რაშიაც იყო საქმე და შესანახად მიბარებული ფულები და ნივთები გადაგზავნა იმავე ქუჩაზე 4 ნომერ სახლში ანნა ბოლდასაროვისას. ქარხალაშვილის სიდედრის ბინაზე მომხდარი ჩხრეკით ვერაფერი აღმოაჩინეს.

**ანნა ბოლდასაროვის დღეობაში.**

მეორე დღეს ჯანელიძემ გამოარკვია, რომ ანნა ბოლდასაროვას დღეობის გამო სტუმრები ჰყავდა მოწვეული; სტუმრებმა თურმე რაღაც ფულები გაიყვეს ერთმანეთში. ექსპედიციის მმართველი ბერიძე და კიდია მივიდნენ ბოლდასაროვისას. ანნა ბოლდასაროვთან 16 თებერვალს, ქარხალაშვილის სიდედრის გიმნაზიელის ყოფნის შემდეგ მართლა მიიტანა რაღაც მოკრული და ტიტის ქვეშ დადვეს. ერთ სტუმართაგანს ნიკო მიკაცაძეს ეთქვა, რომ ეს მოკრული ნაჭერი ძალი ნივთიანი და გახსნა, რომელში ც აღმოჩენილიყო 150 ათასი მანეთი, სხვა და სხვა მატერია და წაღები. იქ მყოფ სტუმრებს ხმის უმეტესობით გადაუწყვიტათ, როგორც ფულები ისე ნივთები გაეყოთ ერთმანეთის შორის. სტუმართ მოყვარე დიასახლისისთვის მიეცათ 50 ათასი მანეთი დანარჩენი ნივთები და გაიყვეს ერთმანეთში—ნიკო მიკაცაძემ, პარმენ სვანიძემ, არჩილ სვანიძემ, (მეორე კომისარიატის მილიციონერი), დომენტი შოკოლაშვილმა, აბრამ ჯავახიშვილმა და სიმონ საყვარელიძემ.

**სტუმრების მონახვა.**

ფაჩულიამ და ჯანელიძემ ბოლდასაროვას ასულის სტუმრები მონახეს და ჩამოართვეს: მიკაცაძეს 21 ათასი მან. და 12 წყვილი წინდები, პ. სვანიძეს—11 ათასი მან., ა. სვანიძეს—15 ათასი, შოკოლაშვილს—23 ათასი და ერთი წყვილი წინდები, ჯავახიშვილს—შალის და აბრეშუმეულობის მატერიები, საყვარელიძემ განაცხადა, რომ 25 ათასი მანეთი, რომელიც მას ერგო დახარჯა, მაგრამ აღუთქვა გადახდა, მიკაცაძემაც აღუთქვა დაკლებული 4 ათასი მანეთის გადახდა. ასე რომ 150 ათასი მანეთი და ნივთებიც აღმოჩენილ იქნა.

**იოსებ ქარხალაშვილის გამოტეხა.**

ყველა ამის შემდეგ იოსები გამოტყდა, რომ მისმა ძმამ ლავრენტიმ თებერვლის 14 დღითი შაბათს საღამოთი ექსპედიციიდან საბნით გაიტანა ფულები და მასთან ერთად წავიდა ერისთავის ქუჩაზე სიმონ ბკოფაშვილის ბინაზე სადაც სიმონთან და გიგო ქარხალაშვილთან ერთად დამალეს ბონები. ბკოფაშვილს დაუტოვეს 300 ათასი მანეთი და ძმას გიგოს 300 ათასი. დანარჩენი წამოიღეს ბინაზე.

**ბკოფაშვილის ბინაზე.**

კიდია იმ წამსვე წავიდა ბკოფაშვილის ბინაზე. ბკოფაშვილმა დაადასტურა იოსების ჩვენება და დასძინა, რომ 200 ათას მანეთად მან იყიდა საქონელი და დაუსახელა კიდეც ადგილი, სადაც საქონელი იყო შენახული. ბკოფაშვილს თან აღმოაჩნდა 50 ათასი მანეთი.

**გიგო ქარხალაშვილი.**

შეპყრობილმა გიგო ქარხალაშვილმა განაცხადა, რომ ლავრენტიმ მას მართლა მისცა 300 ათასი მანეთი, მაგრამ მეორე დღეს წაიღო გარდა 70 ათასი მანეთისა.

**ლ. ქარხალაძის უკანასკნელი განცხადება.**

მხოლოდ ამის შემდეგ გამოტყდა ლავრენტი ქურდობაში და განაცხადა, რომ ეს ჩაიდინა მან მარტოდ მარტომ. მოლარის თანაშემწე მენაბდე კი უბრალოდ გახვია საქმეში, რომელსაც არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. მენაბდე განთავისუფლებულ იქნა.

**ქარხალაშვილის ძველი ცოდვები.**

გამოძიებამ გამოარკვია, რომ წარსული წლის ოქტომბერში ქარხალაშვილს ექსპედიციიდან მიუპარავს 300 ათასი მანეთი. ქარხალაშვილის ბინაზე მესამეჯერ მოხდარა ჩხრეკა. ჩხრეკის დროს აღმოჩენილ იქნა ბინაში დამარხული 11 ათასი მანეთი.

—

სულ აღმოჩნდა და ჩამორთმეულ იქნა ფულად 584.010 მ. საქონელი—387.000 მანეთის. ფულები დაუბრუნდა ექსპედიციას. დაპატიმრებულნი გადაეცა საგანგებო საქმეთა გამომძიებელს დილევსკის.

# მუშათა შორის

ბათუმი. ბათუმის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა უკიდურეს მდგომარეობაზე არა ერთხელ დაიწერა გაზეთებში, მაგრამ მათ სამართლიან გოდებას რკინის გზის ადმინისტრაცია ნაკლებ ყურადღებას აქცევს. ამ დღეებში ბათუმის რკინის გზის კავშირის რაიონულ გამგეობის თავმჯდომარე ყ. ნ ნ ძემ შემდეგი თხოვნით მიმართა ბათუმში ჩამოსულ დამფუძნებელი კრების და სარკინიგზო კომისიის წევრს გრ. ურატაძეს.

თქვენი ბათუმში ყოფნის დროს, ალბათ, გაიგებდით იმ საშინელ სიძვირეს სურსათ სანოვაგეზე, რომელიც დღეს არსებობს ბათუმის ბაზარზე და ამისათვის აქ აღარ შევუდგებით მათ ჩამოთვლას. ჩვენი რკინის გზის მუშა მოსამსახურეები დღეს ისეთ პირობებში იმყოფებიან, რომ ძნელია მისი აღწერა. ბევრი მათგანი სულ უბინაოდაა, ბევრი ათი თუ დახურულ ვაგონებში ცხოვრობენ და სიცივით ებოლებიან ცოლშვილი; არც ერთ მათგანს არა აქვთ სათბობი მასალა, თუმცა ზოგიერთებს, ამ დღეებში, თითო უჯრა ქვის ნახშირი და რვა-რვა ნაჭერი შეშა მიეცათ, მაგრამ მეორე დღეს, არც ერთს მათგანს არ გაჰქონდია სათბობი მასალა. სათბობი მასალის ყიდვაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, რადგან საჟენი შეშა ბათუმში 30—35 ათას მან. ფასობს. მოსამსახურეებს რკინის გზის ადმინისტრაცია დაჰპირდა თბილ ქურქებს, ნაბდის ფეხსაცმელებს და საწვიმრებს, მაგრამ დაპირება დაპირებათ არის და დაპირებული მხოლოდ ათიოდე კაცმა მიიღო. ვაგონის დარაჯები და სხვა დარგის მოსამსახურეები, რომელნიც დილიდან საღამომდე და საღამოდან გათენებამდე ღია ცის ქვეშ არიან სამსახურის გამო, ხაზგასმით ფეხშიშვლები და საზაფხულო ტანისამოსის ამარა ასრულებენ სამსახურს. ამათი სისაწყლით ქვებიც კი ატირდებიან, მაგრამ ჩვენი ადმინისტრაცია და ხელმძღვანელი ამხანაგები ისეთ გულგრილობას იჩენენ, რომ ყოვლად მიუტევებელია. ამ დღეებში აქ ჩამოვიდნენ დამფუძნებელი კრების წევრები ამხ. კოველიოვი და ბ-ნი დლონტი, რომელნიც ძიობდნენ, თუ რამდენი მუშა-მოსამსახურენი არ ცხადდებიან სამუშაოზე და გამოარკვიეს, რომ არ ცხადდება 40 პროც და არც ერთ მათგანს იმისი მიზეზი არ გამოურკვევია, თუ რისთვის არ ცხადდებიან. მათ მიერ შეკრებილ ცნობებზე ზედმეტს იტყვით: ვინც ჩოდის სამუშაოზე, ისეც არაქათ გამოლეულია და ნახევარს იმისას ვერ აკეთებენ, რაც უნდა გაეკეთებიათ. ასეთ მუშების არანორმალურ მდგომარეობას, მეტი ყურადღების მიქცევა უნდა და ამ ყურადღებას ჩვენ, განსაკუთრებით ბათუმის მუშა-მოსამსახურე, მოკლებული ვართ, როგორც ადმინისტრაციისაგან, ისე ჩვენი ხელმძღვანელი ამხანაგებისაგან. ჩვენი მოსამსახურეები რომ ჯამაგირს ღებულობენ იმას თქვენ გაიგებთ დაწვრილებით ჩვენის სამმართველოდან, ხოლო მე აქ მოვიყვან იმ მუშა მოსამსახურეთა ჯამაგირის რაოდენობას, რომელნიც მსახურებენ ინგლისელებთან რკინის გზაში (ნავთსადენის ნაწილში). —მაგალითად, ბათუმის ნავთსადენში ღებულობენ: 1) მემანქანე—8000 მან., 2) ქვაბის გამთბობში 6875 მ., 3) ზეინკალი—7375 მ., 4) დარაჯი—6025 მ., 5) შავი მუშა—6025 მ., 6) კანტორის მოხელე—7376 მან., 7) მოინგარიშე—8000 მან.

ამ ჯამაგირებს ღებულობენ ქართული ბონებით.

თუ შევადარებთ ამათ ჯამაგირებს ჩვენს ჯამაგირებზე, გამოდის, რომ ჩვენ ოთხჯერ ნაკლებს ვღებულობთ, ვიდრე ისინი და სხვა. დანარჩენ ქალაქის მუშა-მოსამსახურეზე არას ვიტყვი, რადგან ისინი გაცილებით მეტს ღებულობენ, ვიდრე ზემოხსენებულები.

ჩვენი მოსამსახურეები თხოულობენ დღიურების გადიდებას. მე იანვრის ოცში თფილისში ვიყავი სამუშაოგამომ[...]ის ამაზე და სხვა საქირბოროტო საკითხებზე, მაგრამ იქ მხოლოდ დაპირებით გამომისტუმრეს და მეტი არაფერი. 7 თებერვალს დეპოს მუშებმა კრება გამართეს და კატეგორიულად მოითხოვეს დღიურის გადიდება და ცხოვრების გაუმჯობესება. დღეს, 12 თებერვალს, გამგეობაში შემოვიდნენ ყველა დარგის მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენელნი და დაბეჯითებით მოითხოვეს მათი მდგომარეობის გამორკვევა და გაუმჯობესება; გამგეობა, რომელიც ამ დრომდი დაპირებით კვებავდა თავის ამრჩევლებს, დღეს იძულებული გახდა ანგარიში გაეწია აღელვებული თანამოძმეებისათვის, აღუთქვა მათ ყოველივე ეს თავის მოვალეობის თავმჯდომარეს და ის თუ არ მიიღებს შესაფერ ზომებს, მათის ცხოვრების გასაუმჯობესებლად, მაშინ მიმართავს უკიდურეს ზომებს.

გაცნობებთ რა ზემოხსენებულს, პატივცემულო ამხანაგო, გამგეობის სახელით, გთხოვთ ჩვენს მდგომარეობაზე აცნობოთ მთავრობის თავმჯდომარეს საჩქარო ზომების მისაღებათ ბათუმის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის გამოსარკვევად და გასაუმჯობესებლად, რომლის აღსრულება უნდა მოხდეს სასწრაფოდ და რიგის გარეშე; წინააღმდეგ შემთხვევაში კავშირის გამგეობა თავიდან იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას მოსალოდნელ არასასურველ შედეგზე.

# პროვინცია

ახალციხე. ქალაქი ახალციხე იყოფა 2 ნაწილად: ძველი და ახალქალაქი. ქალაქის ახალი ნაწილი ევროპიულ ქალაქს მოგვაგონებს; ძველი კი—აზიური ტიპისაა. გარჩევა არის ორივე ნაწილის მცხოვრებთა შორისაც: ქალაქის ახალ ნაწილში ვაჭრები, მდიდარი კლასი და ინტელიგენცია სცხოვრობს; ძველში კი—მუშები და ღარიბი ხალხი ცხოვრობს.

ერთი შეხედვით ახალციხე თფილისს მოგვაგონებს. მისი სოლოლაკ-ნაძალადევით მაგრამ დიდია განსხვავებაც: ნაძალადევი იყო და არის მკვირცხლი, ცოცხალი და მებრძოლი; სოლოლაკი კი ოქროში მჯდომი ლეშია; ნაძალადევი მუდამ ებრძოდა სოლოლაკს.

ძველ-ქალაქს დაკარგული აქვს ბრძოლის უნარი; იქ არ მოიპოებიან ცოცხალი ელემენტები.

მალე სამი წელიწადი შესრულდება, რაც რევოლიუცია მოხდა. ამ ხნის განმავლობაში საქართველო წინ წავიდა, ევროპას დაუახლოვდა. ჩვენ ხალხს კი—ისევ სძინავს, მასში ახალი არაფერია: ძველი ზნე-ჩვეულება, უსაქმობა, ფუქსავატობა,—აი რაში კლავს დროს იგი.

ერთ ერთ ამხ ნავის სიტყვით: მამაკაცები მთელ დღეებს ყავა-ხანებში ატარებენ ქალებიც აგროვებენ ფულებს, იყრიან თავს, მართავენ ვახშმებს და კაცებს ეჯიბრებიან ქეიფობაში.

სამწუხაროა, რომ ასეთ ხურთის იძლევა ის ადგილი, რომელიც ოდესღაც ყოველდა და დარიჯით ედგა ჩვენს კულტურას. მაგრამ აზიის ველურობამ თავისი გაიტანა. ეხლა წარსულს გვაგონებს მხოლოდ ციხე-კოშკების ნანგრევები და ჩამორჩენილი ხალხი.

სტუდენტის დღე 26 იანვარს აქაც იდღესასწაულეს. ხალხმრავალ დარბაზში გამართა საღამო, რომელსაც დიდძალი საზოგადოება დაესწრო. ამხ. ნ. ჩიმაკაძემ საღამოზე სიტყვა წარმოსთქვა.

ერთმა ჯგუფმა შეუდგა მუშაობას.

გაზეთ „განახლებულ მესხეთის“ გამოცემა დროებით შეჩერდა ეროვნ.

ქალაქში გავრცელებულია „ისპანკა“, რომელიც მეტ ზიანს ჯარის კაცებს აყენებს.

**ბ. ქვაჟაძე.**

—

ნიგოითი. (გურია) აქ მძვინვარებს ეპიდემიური ავადმყოფობა „ისპანკა“, რომელიც დღითი დღე იწირავს მრავალ მსხვერპლს. ეპიდემიისა გამო ადგილობრივ თემის სასკოლო სექციამ გადასწყვიტა სასწავლებლებში, რომლებიც სანახევროდ ისედაც ცარიელნი იყვნენ ეშ გარდამისა გამო, ერთი კვირით შეეჩეროს მეცადინეობა. ეპიდემიის გავრცელებას ხელს უწყობს დიდი თოვლი და მაგარი სიცივეები. ვითხოვთ ობურგეთის საზაზრო ერობისაგან საექიმო დახმარებას.

—

ფოთი. ამხ. ბკაკი ჩხენკელის მოხსენებიდან წმინდათ შემოსული 2 777 მანეთი შეტანილ იქნა ფოთის საქ. ს.-დ. მ. პ. კასაში.


# განცხადებანი

**ციკვის სასწავლებელი**

**ი. ა. როზენბერგისა.**

არსებობს 27 წელიწადი ასწავლის სპეციალურად: აზიურს, ხაბალეტო და ევროპიულ ცეკვებს. მეცადინეობა ყოველ დღე დილის 8 საათიდან საღამოს 9 საათამდე. ჩქარი და კარგად შესწავლისათვის იძლევა სრულ პირობას. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა № 101. (527-5-3)

კბილის ექიმი

**ქ. ე. ბიბინეიშვილი.**

იღებს ავათმყოფებს დილის 9—2 საათ. და 4—6 საათ. ნიკოლოზის ქუჩა № 64 (566—4—1)

ექიმი

**დიმ. კოსტ, მე ერისთავი**

(ოპერატორი 6)

იღებს ავათმყოფებს საღამოს 5—7 საათ. სასამართლოს ქუჩა № 52. (თ. 581)

მედიცინის დოქტორი

**ივ. ღულაძე**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავათმყოფობა. მიღება ავათმყ. ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. გარდა კვირისა მიჩნიკოვის ქუჩა, ზურაბოვის სახლი № 3 ბინა № 5 მიხაილოვის პროსპექტის მოსახვევი. (616—2—1)

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა

**გ. გ. მეჰრაბიანი**

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ჰლექების ოპერაცია—პნევმოთორაქსი. ყოველ დღე დილით 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. ბეჟანოვის ქ. № 23. ტელეფ. 7—92. მიწის ძვრისაგან დაზარალებულებს აქიმობს უფასოთ. (თ. 6 6

ექიმი [illegible]

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. [illegible] ქუჩა № 27, [illegible]

ექიმი

**პ. გ. ვართანოვი**

სპეციალურად კანისა და ვენერიული სნეულება (სიფილისი "606" და 914" შეშხაპუნება). მიღება: დილით 8—9 საათ. საღ 5—7 საათ. სურამის ქ № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (თ. 546)

ექიმი ა. [illegible]

შინაგანი და ქალთა სნეულებანი. ექიმობა და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშუალებებით. სპეციალურად: გულის, ფილტვების, კუჭ ნაწლავების: ძარღვების და ნერვიულ სისტემის. რენტგენისა და ელექტრო-სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 და საღამოს 4—7 საათ. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3. (471)

ექიმი

**გ. ი. მირიანაშვილი**

შინაგანი სნეულებანი, მიღება საღ. 5—7 საათამდე, გარდა კვირისა. ანდრეევის ქუჩა, № 74. ბინა № 1. ვაგზლის ახლოს. (249)

ექიმი დ. ზ. [illegible]

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (სათავადაზნაურო ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.)

ოზურგეთში

ექიმი **აბაშიძე**

ღებულობს ავათმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და ნაწლავების, ჰლექის აქიმობს „ტუბერკულინით“ და „ფოსფაციდით“, ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914“ და „606“ შეშხაპუნებით. ქ. ხიმაშვილის სახლში. (კუპ. 60)

კერძო სამკურნალო

**ექ. დონხინისა**

(შუდმივი საწოლებით) მიხ. ქ. № 141 ტელეფ. 5—97

(სამხედრო სასწავლებლის წინ კინო ტეატრ „ამოლის“ გვერდით). ყოველგვარი სნეულებიანი ავათმყოფების მიღება სრული პანსიონი. ცალკე ოთახები (თ. 218)

ოფთალმოლოგიის ექიმი

**ნ. მ. ცხვედაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 1—3 საათამდე. იზმაილოვის ქუჩა № 11. [illegible] ქუჩიდან პირველი შესახვევი. (თ. 3822)

ექიმი გ. ა. [illegible]

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. [illegible] მისამართი: [illegible] ქუჩა № 23

═══ ვერის ხიდთან ═══

**ს. ბეზრუჩკოს**

**მაღაზიაში**

ყოველ გვარი სხვა და სხვა

# სამანუფაქტურო საქონელი

**არჩევით.**

**ყველანი ყიდულობენ მხოლოდ ამ მაღაზიიდან**

სპეციალური დავალებით ჩამოტანილია პირდაპირ ინგლისიდან, საფრანგეთიდან იტალიიდან და გამოტანილია გასაყიდათ შემდეგი საქონლები:

**შევიოტი**—ქალისა და მამაკაცის კოსტიუმებისა და პალტოებისათვის. საკოსტიუმო მატერიები მამაკაცისათვის, მხოლოდ ინგლისური. ბავშვებისა და ქალების ტანსაცმელებისათვის მილეხული მატელის ფართლეულობა (მატელის ემიტაცია) საუკეთესო თანამედროვე მატელის ქსოვილები პრაქტიკული და მასარჩავი—იაფათ. აბრეშუმეულობა: კრეპ-დე-შინე, ტაფტა, ლიბერტი და სხვ. ყველა ფერისა—არჩევით. ფუალები, მარკიზეტები და სხვა მსუბუქი ქსოვილობა—გემოვნებით არჩეული საშარვლე ფრანგული ტრიკო სამმაგი გამძლეობისა ნაჭერი 450 მანეთი. მადაპალამი, მანკორდი, შიფონი, ბატისტი, ნანსუკი ბავშვებისა და ქალების და მამაკაცების საცვლებისათვის. ლასტიკი სპეციალურად მამაკაცის კოსტიუმისათვის, მადაპალამი შვეიცარული 24 ვერშოკიანით, საუკეთესო ღირსების. ბატისტები, ხოლოტანკები, სატინები, დიდძალი ჩითეულობა: ოქსფორდი, ზეფირი, სხვადასხვა გვარი სასარჩულე მატერიები. პრიუნელი შავი და თეთრი რაგოყი ქალის ფეხსაცმელებისათვის და მრავალი სხვა საქონელი.

ზემოდ მოყვანილიდან სჩანს, რომ საქონელს მაღაზია ღებულობს უშუამავლოთ თვით მწარმოებლისაგან და პირდაპირ იმ ადგილებიდან, სადაც საქონელი კეთდება, ამიტომ საქონელი არის საუკეთესო ღირსების, ლამაზი, მხატვრული და ამასთანავე მოდური.

რაც შეეხება ფასებს ეს საყოველთაოდ ცნობილია, რომ ს. ბეზრუჩკოს მაღაზია (ვერის ხიდთან) საქონელს ჰყიდის ყველაზე უფრო იაფად, და ამისთვის ყველა მისგან ყიდულობს. (635—1—1)